საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ადამ და ევა

ადამ და ევა, კაცთა მოდგმის წინაპარი წყვილი ძველი აღთქმის თანახმად (დაბ., თ. 2–3).

ღმერთმა საკუთარი ხელით მოზელილი მიწისაგან შექმნა ადამი (აქედან მისი სახელი – „ადამაჰ“ ნიშნავს „მიწას“) და ჩაჰბერა სული; ხოლო ევა („სიცოცხლის მიმცემი“) ადამის ნეკნიდან გამოიღო.

აკრძალული ხის ნაყოფის ჭამის მიზეზით განიდევნენ ისინი სამოთხიდან, სადაც უკვდავები უნდა ყოფილიყვნენ.

ქართ. ხალხ. პოეზიაში, როგორც ჩანს, აპოკრიფული ლიტ-რის საფუძველზე შექმნილია ლექსები ა. და ე-ს სამოთხეში ცხოვრებისა და მათი იქიდან განდევნის შესახებ.

ბიბლიური თქმა ა. და ე-ს შესახებ ფართოდ აისახა ქართ. მხატვრულ ხელოვნებაში.

ზ. კიკნაძე